



საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიაციის
სამსახური

WWW.GPB.GE

სტუდიური დოკუმენტის „ევროპული არჩევანის“ დამზადების სამუშაოების

სახელმწიფო შესყიდვა,

გამართივები ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

თბილისი

2010 წელი

1. ინსტრუქცია გამარტივებულ ელექტრონული ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში <https://public.reestri.gov.ge> მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტის პირობებს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

1.3 1.2 პუნქტის გავლის შემდგომ, პრეტენდენტი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით (ელექტრონული გარანტიის მოქმედების მინიმალური ვადა - არანაკლებ 30 კალენდარული დღე სატენდერო წინადადებების წარდგენის დაწყების ეტაპიდან). ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთამდე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განხორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.7 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.8 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.9 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი.

1.10 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.11 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.12 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.13 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.14 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.15 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.16 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.17 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.18 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.19 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.20 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას.

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

- გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;
- ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.23 ამ ინსტრუქციის 1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

- ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.
- ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
- გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.25 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.26 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.27 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.28 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.29 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ბ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

2.2 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) პრეტენდენტის გამოცდილების (აღნიშნული საქმიანობის სფეროში) დამადასტურებელი ინფორმაცია და/ან დოკუმენტაცია: (პრეტენდენტს უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში დამზადებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 4 სატელევიზიო გადაცემის სტუდიის დეკორაცია); აღნიშნული წარმოსადგენი ინფორმაცია ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ, შემსყიდველის და შესაბამისი ხელშეკრულების ღირებულების მითითებით (და/ან შესაძლებელია პრეტენდენტის მიერ სისტემაში აიტვირთოს გაფორმებული ხელშეკრულების ასლ(ებ)ი).
- ბ) პრეტენდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესახებ;
- გ) პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღის განმავლობაში.
- დ) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი.
- ე) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა;
- ვ) ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ;

შენიშვნა:

1. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდგომ – „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ. (ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში შემსყიდველის მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი 2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემები ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

3. ტექნიკური პირობები

სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: არეზიდენტი პირისაგან გრანტის სახით მიღებული სახსრები;

სტუდიური დეკორაციის დიზაინი თან ერთივის სატენდერო დოკუმენტაციას;

სატელევიზიო გადაცემის ფორმატი: 1 წამყვანი, 4 სტუმარი და აუდიტორია სავარაუდოთ 10 კაცი;

სტუდიური დეკორაცია უნდა იყოს დაშლადი.

სტუდიური დეკორაციის საგარანტიო ვადა უნდა იყოს მინიმუმ 10 (ათი) თვე, იმ შემთხვევაში, თუ სტუდიურ დეკორაციას ექსპლუატაციის პირობებში აღმოაჩნდება გარკვეული ხარვეზები, მიმწოდებელი ვალდებულია დეკორაციაში აღნიშნული დეფექტი აღმოფხვრას 2 დღის განმავლობაში.

სტუდიის საერთო ზომაა: (სადაც უნდა აიწყოს დეკორაცია) – 11.00 X 10.00 მეტრი

სატელევიზიო გადაცემის „ევროპული არჩევანის“ სტუდიური დეკორაციის დამზადების სამუშაო	
№	სამუშაოს დასახელება:
1	მაგიდების დამზადება:
1-1	წამყვანის ოვალური მაგიდა: - 1 ცალი საორიენტაციო ზომა: 110X150X75 (იხ. დიზაინი)
1-2	წამყვანის მაგიდის უკანა დეკორატიული განათება: საორიენტაციო ზომა: 30X450X40 (იხ. დიზაინი)
1-3	სტუმრების ორ ადგილიანი მაგიდა: - 2 ცალი/ საორიენტაციო ზომა: 75X220X80/20 (იხ. დიზაინი)
1-4	სტუმრების მაგიდის პოდიუმი: - 2 ცალი/ საორიენტაციო ზომა: 300X250X20 (იხ. დიზაინი)
1-5	აუდიტორიის მაგიდა: - 2 ცალი საორიენტაციო ზომა: 75X500X75/40 (იხ. დიზაინი)
2	უკანა ფონის მოწყობა:
2-1	სტუმრების უკანა ფონის მოწყობა მაღალი ხარისხის სარეკლამო ბანერით, მონიკლებული ფირით და დეკორატიული განათებით: - 2 ცალი საორიენტაციო ზომა: 500X350X40
2-2	წამყვანის უკანა ფონის მოწყობა და გაფორმება პლასტიკით და 12 ცალი* ასაწყობი დიოდებიანი ეკრანით (1 ცალი ეკრანის ზომა: 96X96 სმ); წამყვანის უკანა ფონის საერთო ზომაა: 650X350სმ
2-3	2 ცალი - აუდიტორიის უკანა ფონის მოწყობა და გაფორმება, მდფ-ით, პლასტიკით, მონიკლებული ფირით და დეკორატიული განათებით: და 8 ცალი* ასაწყობი დიოდებიანი ეკრანით (1 ცალი ეკრანის ზომა: 96X96 სმ); 1 ცალი უკანა ფონის საერთო ზომაა: 240X350X40 სმ
3	სტუდიის იატაკის მოწყობა:
3-1	სტუდიის იატაკის მოსაწყობად გამოიყენება 20 ცალი დეკ-ს ფილა (1 ცალის ზომა: 280X210) და 20* ცალი გამჭვირვალე ორგმინა (1 ცალის ზომა: 200X300სმ)

შენიშვნა: *დიზაინში ასახული და შემდგომში დეკორაციაში გამოყენებული იქნება შემსყიდველის საკუთრებაში არსებული 1 ცალი პლაზმური ტელევიზორი (250X150 სმ), ასაწყობი დიოდებიანი ეკრანი 20 ცალი (1 ცალის ზომა: 96 X 96 მეტრი), 20 ცალი 10მმ-იანი გამჭვირვალე ორგმინა (1 ცალის ზომა:200X 300 სმ) და 15 სავარძელი;

დეკორაციის დასამზადებლად საჭირო სავარაუდო მასალები

№	მეტალის კონსტრუქციაში გამოსაყენებელი მასალები:	განზ. ერთეული	რაოდენობა
1	ოთხკუთხა მილი 40X20 სმ	გრძ/მეტრი	830
2	ოთხკუთხა მილი 100X40 სმ	გრძ/მეტრი	66
3	ოთხკუთხა მილი 20X20 სმ	გრძ/მეტრი	120
4	მეტალის კონსტრუქციის დამუშავებისთვის საჭირო სხვადასხვა სახარჯი მასალები		
5	რკინის საჭრელი ქვა 400მმ	ცალი	10
6	რკინის სახეხი ქვა 250მმ	ცალი	30
7	ელექტროდი	შეკერა	5
8	სტრუქტურული დეკორაციის შესაფუთი მასალები		
9	სარეკლამო მაღალი ხარისხის (მატოვი) ბანერი	კვმ	54
10	დუბ-ს ლამინირებული ფილა 280X210სმ	ლისტი	20
11	მდფ-ს 1,8მმ ლამინირებული ფილა 300X200სმ	ლისტი	15
12	მდფ-ს 0,8მმ ლამინირებული ფილა 180X280სმ	ლისტი	6
13	ცინკის 0,5მმ ლისტი 100X200სმ	ლისტი	20
14	ნიკელის ფირი	მეტრი	20
15	ორკომპონენტური წებო	ცალი	10
16	დღის განათების ნათურები	ცალი	138
17	დროსელები	ცალი	70
18	ელ.იზოლირებულ მაღალი ხარისხის სადენი 2.5-კვეთა	მეტრი	150
19	სადეზაჟი	კბ	7
20	სადეზაჟის გამხსნელი	ლიტრი	23
21	გრუნტი	კბ	4

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი

2010 წელი

ხელშეკრულება N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის გიორგი ჭანტურიას სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 2.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

- 3.1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სატელევიზიო გადაცემის სტუდიური დეკორაციის დამზადების სამუშაოს შესყიდვა.
- 3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

- 4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.
- 4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი.

6. შეფუთვა

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანებისაგან დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირების პროცესში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5.1 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას და ადგილზე აწყობას და მონტაჟს შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე (ქ. თბილისი კოსტავას ქ. №68-ში) მდებარე სტუდიაში, უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

8. გარანტია

8.1 სტუდიური დეკორაციის საგარანტიო ვადა უნდა იყოს მინიმუმ 10 (ათი) თვე, იმ შემთხვევაში, თუ სტუდიურ დეკორაციას ექსპლუატაციის პირობებში აღმოაჩნდება გარკვეული ხარვეზები, მიმწოდებელი ვალდებულია დეკორაციაში აღნიშნული დეფექტი აღმოფხვრას 2 დღის განმავლობაში.

8.2 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა (საგარანტიო პირობები რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა) განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

9.2 გადახდის ფორმა - უნაღლო

9.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით

9.4 ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოს დასრულების შემდეგ მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

10. ფასები

10.1 შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (ამასთან დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

10.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება შემცირდეს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

10.3 ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, (სახელშეკრულებო თანხის 3 % ოდენობით), რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით და/ან მის მიერ ამ თანხის გადახდის (შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში).

13.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

13.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგერის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში

15. დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“

“მიმწოდებელი“

მისამართი: ქ. თბილისი; კოსტავას ქ. №68
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163
საბანკო რეკვიზიტები:

სს „კორ-სტანდარტ ბანკი“
ანგარიშის №416 93 64
ბანკის კოდი: 220 101 945

გენერალური დირექტორი

გიორგი ჭანტურია